



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულო



15/03/2018

13-07-4-201803151640



N 13

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №13
2018 წლის 15 მარტი
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126¹-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N5 დადგენილებაში (ვებგვერდი 22/01/2018; სარეგისტრაციო კოდი: 190040000.35.112.016341) შევიდეს ცვლილება, კერძოდ დადგენილების მეორე მუხლით დამტკიცებული დანართის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები“-ს „მეორადი სტრუქტურული ერთეული (სამდივნო)“-ს: გრაფა „მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი“-ს საშტატო რიცხოვნობა განისაზღვროს 9 ერთეულით; გრაფა „მეოთხე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი“ ამოღებულ იქნას; შესაბამისად, „მეორადი სტრუქტურული ერთეული (სამდივნო)“-ს ცხრილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მეორადი სტრუქტურული ერთეული (სამდივნო)	10	
მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს ხელმძღვანელი)	1	1100
მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	9	700

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე. ბესიკ ტაბიძე



საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო